ქალაქ დუშეთში, სამუსიკო სკოლის შენობის რეაბილიტაციისათვის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებელი დროებითი საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი N2

ქ. დუშეთი

21 ივლისი 2014 წ.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:

ვაჟა ჩოხელი – დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

საკონკურსო კომისიის წევრები:

1. **ნიკო დუდაური** – დუშეთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

4. **ქეთო წიკლაური** – განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი;

5. **იზა გოზიტაშვილი** – საინფორმაციო განყოფილების უფროსი;

5. **ემზარ სინჯარაძე** – არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობის რეგულირებისა და ზედამხედველობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი;

6. **რაჟდენ დუდაური** – სივრცითი მოწყობისა და ურბანული განვითარების განყოფილების მთავარი სპეციალისტი;

მოწვეული სპეციალისტი:

1. ლია როინიშვილი – (ა) იპ „კავშირი სამოქალაქო განვითარებისათვის" აღმასრულებელი დირექტორი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა:

მოწვეული სპეციალისტი:

მაია მანია – არქიტექტურის ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი.

დღის წერიგი:

1. ქალაქ დუშეთში, მერაბ კოსტავას ქუჩა N 34 – ში მდებარე ყოფილი სამუსიკო სკოლის შენობის რეაბილიტაციისათვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვის შესახებ. (საკონკურსო განცხადების №1283) .

/მომხ. ქ. წიკლაური/

განიხილეს:

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ინფორმაცია, ქალაქ დუშეთში, მერაბ კოსტავას ქუჩა N 34 – ში მდებარე ყოფილი სამუსიკო სკოლის რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებით გამოცხადებული კონკურსის მიმდინარეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ საკონკურსო განაცხადების მიღების ბოლო ვადა, განსაზღვრული იყო – 2014 წლის 14 ივლისს 18 საათზე. ამ დროისათვის შემოტანილ იქნა მხოლოდ ერთი საკონკურსო განაცხადი, კონკურსანტის შპს „კარკასის" მიერ. საკონკურსო განაცხადი წარმოდგენილია საკონკურო პირობების დაცვით: დალუქული კონვერტით, რომელზეც განთავსებულია კონკურსში მონაწილეობისათვის გადახდის ქვითარი და დამოწმებულია კონკურსანტის ხელმოწერითა და ბეჭდით.

შემდეგ მოხდა წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების გახსნა და განხილვა. საკონკურსო წინადადების პაკეტში კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ იქნა საკონკურსო განაცხადით მოთხოვნილი ფოტო-მასალა ალბომის სახით, სპეციალისტების მიერ მოპოვებული და შესწავლილი შენობის ყოფილი და ახლანდელი მდგომარობის შესახებ მონაცემები, ანალიზი და რეკომენდაციები მისი რეაბილიტაციისათვის შენობის შემდგომი ფუნქციონირების მიზნით. შპს „კარკასის" მიერ შემოთავაზებული საკონკურსო წინადადების ფასი შეადგენს: 11700 (თერთმეტიათასშვიდასი) ლარს. წარმოდგენილია ინფორმაცია კონკურსანტის ანალოგიურ პროექტებში მონაწილეობის, გამოცდილების და ამ კომპანიაში დასაქმებული სპეციალისტების გამოცდილებისა და კვალიფიკაციის შესახებ. დასახელებული მასალა წარმოდგენილია, როგორც ქაღალდის, ასევე ელექტრონული ვერსიის სახით.

აზრი გამოთქვეს:

რაჟდენ დუდაურმა – მან აღნიშნა, რომ კონკურსანტის მიერ შემსყიდველის მოთხოვნილი ყველა პირობა ამ ეტაპზე შესრულებულია და მათ მიერ წარმოდგენილია ყველა ის მასალა, რაც არსებობს შენობის შესახებ და მოცემულია ანალიზი მისი რეაბილიტაციისათვის.

ლია როინიშვილმა – მას ძირითადად შენიშვნები ჰქონდა კონკურსის პროცესუალური მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნა, რომ საკონკურსო კომისიაში მონაწილეობდა ისაკ კარიაული, რომელსაც ძალიან დიდი შრომა აქვს გაწეული და ფლობს ინფორმაციას არა მარტო ამ შენობის, არამედ ზოგადად, დუშეთში არსებული ყველა ისტორიული, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე ნაგებობის შესახებ და ითხოვა, რომ ის კვლავ ყოფილიყო ჩართული პროცესში.

ვაჟა ჩოხელმა – მან აღნიშნა, რომ რადგან კონკურსის მიმდინარეობა დროში დაემთხვა ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებს, კონკრეტულად კი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებებს და საჭირო გახდა ამ ცვლილებებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებების მიღება, ამან გამოიწვია ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის შეცვლა და აღნიშნა, რომ გათვალისწინებული იქნება მოსაზრება გამოცდილი სპეციალიტების ჩართვის შესახებ კონკურსის მიმდინარეობის პროცესში. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ გამოთქვა მოსაზრება, რომ კონკურსანტის წაროდგენილი საკონკურსო წინადადების უკეთ შესწავლის მიზნით, რადგან ზოგიერთი წევრი, რომელიც თავიდანვე არ იყო საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში, საკონკურსო წინადადების განხილვა მოხდეს 2014 წლის 23 ივლისს 12 საათზე.

დაადგინეს:

1. ქალაქ დუშეთში, მერაბ კოსტავას ქუჩა N 34 – ში მდებარე ყოფილი სამუსიკო სკოლის რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტის შპს „კარკასის" მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შესწავლის მიზნით, საკონკურსო კომისიას მიეცეს ორი დღე და განხილვა მოხდეს მიმდინარე წლის 23 ივლისს 12 საათზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: /ვ. ჩოხელი/

საკონკურსო კომისიის წევრები:

/ქეთო წიკლაური/

/რაფდენ დუდაური/

/ნიკო დუდაური/

/იზა გოზიტაშვილი/

/ემზარ სინჯარაძე/

მოწვეული სპეციალისტები:

/ლია როინიშვილი/

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. დუშეთი

21 ივლისი 2014 წ.

ვადასტურებთ, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული კონკურსის – (უნიკ. N1283 – CPV 71200000/71242000 - საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო ტექნიკური დოკუმენტაციის დამზადება, ხარჯების გამოთვლა, ქალაქ დუშეთში, მერაბ კოსტავას ქუჩა N 34 – ში მდებარე ყოფილი სამუსიკო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება – მიმდინარეობისას, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " საქართველოს კანონის მე-8-ე მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: /ვ. ჩოხელი/

საკონკურსო კომისიის წევრები:

/ ქეთო წიკლაური/

/რაჟდენ დუდაური/

/ ნიკო დუდაური/

/ იზა გოზიტაშვილი/

/ემზარ სინჯარაძე/

მოწვეული სპეციალისტები:

/ლია როინიშვილი/